GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

31 Temmuz/ივლისი 2026

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 704.5	10 296.5	7.5%	13.9 %	4.6 %

Tiflis Uluslararası Havalimanı'nın Genişletilmesi İçin 150 Milyon ABD Dolarını Aşan Yatırım

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოების პროექტში 150 მილიონ დოლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდება

Tiflis Uluslararası Havalimanı'nın Genişletilmesi ve Modernizasyonu İçin 150 Milyon ABD Dolarını Aşan Yatırım Projesi Resmen Başladı

Şota Rustaveli Tiflis Uluslararası Havalimanı'nın genişletilmesi ve modernizasyonuna yönelik kapsamlı yatırım projesi resmen başladı. Proje, Fransa merkezli havacılık grubu Groupe ADP'nin üyesi olan TAV Airports'un Gürcistan'daki iştiraki TAV Georgia tarafından hayata geçirilmektedir.

2026-2028 yılları arasında gerçekleştirilecek projenin toplam yatırım hacmi 150 milyon ABD dolarını aşmaktadır. Projenin tamamlanmasıyla birlikte havalimanının yıllık yolcu kapasitesi 5 milyondan 10 milyon yolcuya çıkarılarak iki katına yükseltilecektir.

Projenin başlangıcı dolayısıyla düzenlenen resmî törende konuşan Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze, yatırımın devletin çıkarları tam anlamıyla korunarak hayata geçirildiğini belirtti.

Devlet ile TAV Georgia arasında imzalanan ve devletin çıkarlarını tam olarak güvence altına alan anlaşma kapsamında yatırımcı, projeye 150 milyon ABD dolarının üzerinde yatırım gerçekleştirecek. Bu yatırımla birlikte Gürcistan'ın en önemli uluslararası havalimanının kapasitesi ve hizmet olanakları önemli ölçüde artırılacaktır.

Projenin tamamlanmasının ardından Tiflis Uluslararası Havalimanı'nın yıllık yolcu kapasitesi 10 milyon yolcuya ulaşacaktır.

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

Hükümet tarafından yapılan açıklamaya göre, havalimanının genişletilmesi ihtiyacı, 2025 yılında Tiflis Uluslararası Havalimanı'nın rekor düzeyde 5,4 milyondan fazla yolcuya hizmet vermesi ve mevcut tasarım kapasitesinin tamamen kullanılması üzerine gündeme geldi.

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı bünyesindeki Gürcistan Havalimanları Birliği (UAG) ile TAV Georgia arasında imzalanan ve imtiyaz haklarını düzenleyen anlaşma, 15 Ocak 2025 tarihinde yürürlüğe girdi. Anlaşma uyarınca TAV Georgia'nın işletme imtiyaz süresi 2032 yılına kadar uzatılırken, devlet 25 milyon ABD doları tutarında tek seferlik peşin ödeme (Upfront Fee) aldı.

Ayrıca projenin tamamlanmasının ardından Tiflis Uluslararası Havalimanı'ndan Gürcistan Havalimanları Birliği'nin elde edeceği yıllık gelirin yaklaşık üç kat artması beklenmektedir. İşletmeci şirket, yeni uluslararası uçuş noktalarının açılmasını teşvik etmek amacıyla havayolu şirketlerine yönelik pazarlama destek programını finanse etmeyi de taahhüt etmiştir.

Proje kapsamında planlanan başlıca altyapı yatırımları şunlardır:

- Yolcu biniş köprülerinin sayısının 10'a çıkarılması (iki katına yükseltilmesi),
- Uçaklar için 7 yeni uzak park alanının oluşturulması,
- Terminale 9 yeni check-in kontuarı ile 2 yeni bagaj bandının eklenmesi,
- Pasaport kontrol alanının genişletilmesi ve 24 yeni pasaport kontrol noktasının kurulması,
- Mevcut yolcu alanlarının yenilenmesi; yeni alışveriş, yeme-içme ve business lounge alanlarının oluşturulması ve bu alanlarda Gürcü ürünleri ile Gürcü mutfağının tanıtımına öncelik verilmesi,
- Terminal çevresindeki otopark kapasitesinin artırılması.

TAV Georgia, 2005 yılından bu yana Gürcistan'da faaliyet göstermekte olup Tiflis ve Batum uluslararası havalimanlarını işletmektedir. Şirketin bu süre zarfında Gürcistan'da gerçekleştirdiği toplam yatırım tutarı 250 milyon ABD dolarına ulaşmıştır.

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოებისა და მოდერნიზაციის მასშტაბური საინვესტიციო პროექტი ოფიციალურად დაიწყო. პროექტს ახორციელებს საქართველოში ფრანგული საავიაციო გიგანტის, Groupe ADP-ის წევრის, TAV Airports-ის შვილობილი კომპანია „ტავ ჯორჯია“.

პროექტი 2026-2028 წლებში განხორციელდება, მისი ჯამური საინვესტიციო მოცულობა 150 მილიონ აშშ დოლარს აღემატება, რის შედეგადაც, აეროპორტის წლიური გამტარუნარიანობა 5 მილიონიდან 10 მილიონ მგზავრამდე გაორმაგდება.

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

პროექტის დაწყების ოფიციალურ ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე. მისი თქმით, აღნიშნული პროექტი სახელმწიფოს ინტერესების სრული დაცვით ხორციელდება.

სახელმწიფოსა და „ტავ ჯორჯიას“ შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, რომლითაც სრულად არის დაცული სახელმწიფოს ინტერესები, ინვესტორი პროექტში განახორციელებს 150 მილიონ აშშ დოლარზე მეტი მოცულობის ინვესტიციას, რის შედეგადაც, საქართველოს მთავარი საერთაშორისო აეროპორტის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაიზრდება.

პროექტის დასრულების შემდეგ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის წლიური გამტარუნარიანობა 10 მილიონ მგზავრამდე გაიზრდება

მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აეროპორტის გაფართოების აუცილებლობა დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც 2025 წელს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი რეკორდულ რაოდენობას - 5.4 მილიონზე მეტ მგზავრს მოემსახურა, რამაც არსებული საპროექტო გამტარუნარიანობის სრული ათვისება გამოიწვია.

საავტორო უფლებებით განსაზღვრული შეთანხმება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებას“ (UAG) და „ტავ ჯორჯიას“ შორის 2025 წლის 15 იანვარს გაფორმდა. ხელშეკრულების თანახმად, „ტავ ჯორჯიას“ კონცესიის ვადა 2032 წლამდე გაუგრძელდა, ხოლო სახელმწიფომ უკვე მიიღო 25 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ერთჯერადი საავანსო გადახდა (Upfront Fee).

გარდა ამისა, პროექტის დასრულების შემდეგ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ წლიური შემოსავალი დაახლოებით სამჯერ გაიზრდება. მმართველი კომპანია, ასევე, ვალდებულებას იღებს, დააფინანსოს ავიაკომპანიების მარკეტინგული მხარდაჭერის პროგრამა ახალი მიმართულებების მოსაზიდად.

ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში დაგეგმილია:

- მგზავრთა ჩასხდომის ხიდების რაოდენობის 10-მდე გაზრდა (გაორმაგება);
- საჰაერო ხომალდების 7 ახალი დისტანციური სადგომის მოწყობა;
- ტერმინალში 9 ახალი სარეგისტრაციო დახლისა და 2 ახალი საბარგო ლენტის დამატება;
- საპასპორტო კონტროლის ზონის გაფართოება და 24 ახალი პუნქტის მოწყობა;

- არსებული სამგზავრო სივრცეების განახლება, ახალი სავაჭრო, კვების და ბიზნეს-ლაუნჯის სივრცეების შექმნა, სადაც აქცენტი ქართული პროდუქციისა და სამზარეულოს პოპულარიზაციაზე გაკეთდება;
- ტერმინალის მიმდებარე ავტოსადგომის ტევადობის გაზრდა.

„ტავ ჯორჯია“ საქართველოში 2005 წლიდან ოპერირებს და მართავს თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს. ამ დროის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციების ჯამური მოცულობა 250 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

Uluslararası Karayolu Yük Taşımacılığında Dijital İzin Belgeleri Uygulaması Başlatıldı

საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვებში ციფრული სანებართვო დოკუმენტების სისტემა ამოქმედდა

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı'na bağlı Kara Ulaştırma Ajansı, Türkiye Cumhuriyeti ile uluslararası karayolu yük taşımacılığında dijital izin belgelerinin verilmesi ve karşılıklı değişimine ilişkin sistemi başarıyla uygulamaya aldı.

Yeni mekanizmanın devreye girmesiyle birlikte, Gürcistan ile Türkiye arasında uluslararası yük taşımacılığı gerçekleştiren taşımacılar, izin belgelerini tamamen dijital ortamda kullanabilecek. Bu uygulama; idari süreçleri önemli ölçüde kolaylaştıracak, kâğıt belge kullanımını azaltacak, izin belgelerinin düzenlenmesi ve denetlenmesi süreçlerini hızlandıracak ve uluslararası taşımacılığın verimliliğini artıracaktır.

Kara Ulaştırma Ajansı Müdürü Bakur Mikadze, "Dijital izin sistemi karşılıklılık esasına dayanmaktadır. Bu kapsamda her iki ülke de izin belgelerinin değişimi ve kayıt işlemleri için ortak bir elektronik platform kullanmaktadır. Sistem, verilerin hızlı ve güvenli şekilde paylaşılmasını sağlarken teknik ve idari gecikmeleri azaltmakta, uluslararası karayolu yük

taşımacılığının yönetimi için daha şeffaf ve modern bir yapı oluşturmaktadır. Bu aşamada bir çalışma grubu oluşturulmuştur. Ajansın gelecek planı doğrultusunda, diğer ortak ülkelerle yürütülen izin sistemlerinin de dijital formata geçişi kademeli olarak gerçekleştirilecektir." dedi.

Ajans, ECMT (Avrupa Ulaştırma Bakanları Konferansı Çok Taraflı İzin Sistemi) elektronik sistemi ile Türkiye arasında dijital izin mekanizmasının başarıyla uygulanmaya başlamasının, uluslararası karayolu yük taşımacılığı alanının gelişiminde önemli bir dönüm noktası olduğunu değerlendirmektedir.

Söz konusu uygulamanın, ulaştırma ve lojistik sektörünün gelişmesine, uluslararası ticaretin kolaylaştırılmasına ve Gürcistan'ın bölgesel transit merkez olarak konumunun daha da güçlendirilmesine katkı sağlaması beklenmektedir.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ, თურქეთის რესპუბლიკასთან საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების მიმართულებით ციფრული სანებართვო დოკუმენტების გაცემისა და გაცვლის პროცედურა წარმატებით აამოქმედა.

ახალი მექანიზმის ამოქმედების შედეგად, საქართველოსა და თურქეთს შორის საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელ გადამზიდველებს შესაძლებლობა ექნებათ, სანებართვო დოკუმენტებით სრულად ციფრულ ფორმატში ისარგებლონ. აღნიშნული ცვლილება მნიშვნელოვნად გაამარტივებს ადმინისტრაციულ პროცედურებს, შეამცირებს ქაღალდზე დოკუმენტების დამუშავების საჭიროებას, დააჩქარებს სანებართვო დოკუმენტების გაცემისა და კონტროლის პროცესს და გაზრდის საერთაშორისო გადაზიდვების ეფექტიანობას.

„ციფრული სანებართვო სისტემა ორმხრივ პრინციპზეა დაფუძნებული, რაც ნიშნავს, რომ ორივე ქვეყანა ერთიან ელექტრონულ პლატფორმას იყენებს სანებართვო დოკუმენტების გაცვლისა და აღრიცხვისთვის. ეს უზრუნველყოფს მონაცემთა სწრაფ და უსაფრთხო მიმოცვლას, ამცირებს ტექნიკურ-ადმინისტრაციულ შეფერხებებს და ქმნის უფრო გამჭვირვალე და თანამედროვე მექანიზმს საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების ადმინისტრირებისთვის. ამ ეტაპზე შექმნილია სამუშაო ჯგუფი და სააგენტოს სამომავლო გეგმის მიხედვით, სხვა პარტნიორ ქვეყნებთან მოქმედი სანებართვო სისტემების გადასვლა ციფრულ ფორმატზე ეტაპობრივად განხორციელდება“- განაცხადა სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორმა ბაკურ მიქაძემ.

სააგენტოში მიიჩნევენ, რომ ECMT-ის (ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის მრავალმხრივი ნებართვა) ელექტრონული სისტემისა და თურქეთთან

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

ციფრული სანებართვო მექანიზმის წარმატებით ამოქმედება საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების სფეროს განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია. აღნიშნული პროცესები ხელს შეუწყობს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორის განვითარებას, საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივებას და საქართველოს, როგორც რეგიონული სატრანზიტო ჰაბის, როლის კიდევ უფრო გაძლიერებას.

Gürcistan, 6 Ayda 76,2 Milyon ABD Doları Değerinde Aşı, Kan ve İmmünolojik Ürün Satın Aldı

6 თვეში საქართველომ 76.2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ვაქცინები, სისხლი და იმუნური პროდუქტები შეისყიდა

2026 2026 yılının ilk yarısında Gürcistan'ın aşı, kan ve immünolojik ürün ithalatı geçen yılın aynı dönemine göre yüzde 24 artarak 76,2 milyon ABD dolarına yükseldi.

Resmî istatistiklere göre, söz konusu ürün grubu toplam ithalat içerisinde yüzde 0,8'lik payla en fazla ithal edilen ürünler arasında dokuzuncu sırada yer aldı.

Gürcistan İstatistik Servisi'nin (Geostat) dış ticaret portalı verilerine göre, tedarikçi ülkeler arasında ilk sırada İsviçre yer aldı. Yılın ilk yarısında İsviçre'den 44 milyon 143 bin ABD doları değerinde ve 2,2 ton ağırlığında ürün ithal edildi.

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

Buna karşın, miktar bakımından en fazla aşı, kan ve immünolojik ürün Türkiye'den ithal edildi. Aynı dönemde Türkiye'den toplam 703 ton ürün alınırken, bunun karşılığında 4 milyon 303 bin ABD doları ödeme yapıldı. Bu durum, İsviçre'den ithal edilen aynı ürün grubunun diğer ülkelere kıyasla çok daha yüksek maliyetli olduğunu göstermektedir.

2026 yılının ilk altı ayında aşı, kan ve immünolojik ürün ithalatında ülkelere göre değer sıralaması şu şekilde gerçekleşti:

1. İsviçre – 44,1 milyon ABD doları, 2,2 ton;
2. Almanya – 5,7 milyon ABD doları, 7,2 ton;
3. Türkiye – 4,3 milyon ABD doları, 703 ton;
4. Belçika – 3,4 milyon ABD doları, 1,6 ton;
5. Fransa – 3 milyon ABD doları, 4,4 ton;
6. Litvanya – 2,8 milyon ABD doları, 3,3 ton;
7. Avusturya – 1,8 milyon ABD doları, 7,6 ton;
8. Birleşik Krallık – 1,5 milyon ABD doları, 0,7 ton;
9. Singapur – 1,5 milyon ABD doları, 0,1 ton;
10. Çin – 1 milyon ABD doları, 0,1 ton.

2026 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ვაქცინების, სისხლის და იმუნური პროდუქტების იმპორტი 24%-ით 76.2 მლნ დოლარამდე გაიზარდა.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ეს პროდუქტი უმსხვილესი საიმპორტო საქონლის რეიტინგში 0.8%-ით მეცხრე ადგილს იკავებს.

საქსტატის ვაჭრობის პორტალის მონაცემებიდან ჩანს, რომ მომწოდებელი ქვეყნების რეიტინგში პირველ ადგილს 44 მილიონ 143 ათასი დოლარის ღირებულების 2.2 ტონა საქონლით შვეიცარია იკავებს, თუმცა წლის პირველ ნახევარში მოცულობით ყველაზე მეტი ვაქცინები, სისხლი და იმუნური პროდუქტები თურქეთიდან შემოვიტანეთ - ჯამში 703 ტონა საქონელში კი საქართველოდან თურქეთში მხოლოდ 4 მილიონ 303 ათასი დოლარი გავიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შვეიცარიიდან ამ დასახელების საქონლის შეძენა ბევრად ძვირი ჯდება, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან.

6 თვეში ვაქცინების, სისხლის და იმუნური პროდუქტების იმპორტიორი ქვეყნების რეიტინგი ღირებულების მიხედვით ასეთია:

1. შვეიცარია - $44.1 მლნ, 2.2 ტონა;
2. გერმანია - $5.7 მლნ, 7.2 ტონა;
3. თურქეთი - $4.3 მლნ, 703 ტონა;

4. ბელგია - $3.4 მლნ, 1.6 ტონა;
5. საფრანგეთი - $3 მლნ, 4.4 ტონა;
6. ლიეტუვა - $2.8 მლნ, 3.3 ტონა;
7. ავსტრია - $1.8 მლნ, 7.6 ტონა;
8. გაერთიანებული სამეფო - $1.5 მლნ, 0.7 ტონა;
9. სინგაპური - $1.5 მლნ, 0.1 ტონა;
10. ჩინეთი - $1 მლნ, 0.1 ტონა.

Elektrik Enerjisi İthalatında Yüzde 56 Artış Kaydedildi
ელექტროენერგიის იმპორტი 56%-ით გაიზარდა

Gürcistan Ulusal İstatistik Servisi verilerine göre, 2026 yılının ilk yarısında Gürcistan'ın elektrik enerjisi ithalatı geçen yılın aynı dönemine göre yüzde 56 arttı.

2026 yılının ocak-haziran döneminde 39,615 milyon ABD doları değerinde elektrik enerjisi ithal edilirken, 2025 yılının aynı döneminde bu tutar 25,325 milyon ABD doları olarak gerçekleşti.

Elektrik enerjisi ithalatında Türkiye ve Rusya'nın payı yüzde 67'yi aştı

2026 yılının ocak-haziran döneminde Gürcistan elektrik enerjisini dört ülkeden ithal etti. Bu dönemde ithalatta en büyük pay Türkiye ve Rusya'ya ait olurken, söz konusu iki ülkenin toplam payı yüzde 67,1 olarak kaydedildi.

Aynı dönemde Gürcistan'ın elektrik enerjisi ithalatının ülkelere göre dağılımı şu şekilde gerçekleşti:

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

- Türkiye (yüzde 34,4): 13,624 milyon ABD doları,
- Rusya (yüzde 32,7): 12,954 milyon ABD doları,
- Azerbaycan (yüzde 22,7): 9,011 milyon ABD doları,
- Ermenistan (yüzde 10,2): 4,026 milyon ABD doları.

2026 წლის პირველ ნახევარში საქართველოში ელექტროენერგიის იმპორტი წლიურად 56%-ით გაიზარდა - ამის შესახებ ირკვევა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებიდან.

უფრო კონკრეტულად, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში იმპორტირებულია 39.615 მლნ დოლარის ღირებულების ელექტროენერგია, შარშან იანვარ-ივნისში კი 25.325 მლნ დოლარის ღირებულების.

ელექტროენერგიის იმპორტში რუსეთის და თურქეთის წილი 67%-ს აჭარბებს

აღსანიშნავია, რომ 2026 წლის იანვარ-ივნისში ელექტროენერგიის იმპორტი 4 ქვეყნიდან განხორციელდა, საიდანაც უდიდესი წილი თურქეთსა და რუსეთზე მოდიოდა. ჯამში ამ ორი ქვეყნის წილი ელექტროენერგიის იმპორტში 67.1%-ს შეადგენდა.

უფრო კონკრეტულად, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში ქვეყანაში ელექტროენერგიის იმპორტი შემდეგი ქვეყნებიდან განხორციელდა:

- თურქეთი (34.4%) - 13.624 მლნ დოლარის ღირებულების;
- რუსეთი (32.7%) - 12.954 მლნ დოლარის ღირებულების;
- აზერბაიჯანი (22.7%) - 9.011 მლნ დოლარის ღირებულების;
- სომხეთი (10.2%) - 4.026 მლნ დოლარის ღირებულების.

Su Kirliliği Kontrolü Yönetmenliği – Hukuki Dayanaklar ve Çerçeve

1. Temel Yasal Çerçeve

"Çevrenin Korunması Hakkında" Gürcistan Kanunu, çevrenin korunmasına ilişkin temel yasal düzenleme olup; çevre koruma ilkelerini, çevresel sorumluluk esaslarını ve çevresel etkilerin önlenmesine yönelik mekanizmaları belirlemektedir.

Kaynak – Resmi Gazete- Matsne: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340

2. "Su Hakkında" Gürcistan Kanunu ve "Su Kaynaklarının Yönetimi Hakkında" Kanun

"Su Hakkında" Gürcistan Kanunu, uzun yıllar boyunca su kaynaklarını düzenleyen temel hukuki düzenleme niteliğini taşımıştır. Ancak söz konusu kanun, 1 Eylül 2026 tarihi itibarıyla yürürlükten kalkacaktır.

Kaynak – Resmi Gazete- Matsne: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448

1 Eylül 2026 tarihinden itibaren ise, 2023 yılında kabul edilen "Su Kaynaklarının Yönetimi Hakkında" Kanun yürürlüğe girecek olup, su kaynaklarının yönetiminde Avrupa normlarına uygun bir sistemin uygulanmasını öngörmektedir.

Kanunun getirdiği başlıca yeniliklerden biri, su kullanımının dengeli şekilde yönetilmesini amaçlayan ve yönetimin nehir havzaları ile su toplama havzaları düzeyinde yürütülmesini esas alan havza bazlı su yönetimi mekanizmasıdır[1].

Kaynak – Resmi Gazete- Matsne:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/5846594?publication=3

Kanunun temel amaçları şunlardır:

• Su ekosistemlerinin korunması;

• Su kalitesinin bozulmasının önlenmesi;

• Su kaynaklarının sürdürülebilir kullanımının sağlanması;

• İklim değişikliğinden kaynaklanan risklerin azaltılması;

[1] https://bm.ge/news/tsylis-kanoni-momavali-tslidan-amoqmeddeba-ra-valdebulebebi-uchndeba-bizness

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

• Kirliliğin aşamalı olarak azaltılması.

Kanun uyarınca:

• Su kaynakları devlet mülkiyetindedir;

• İnsan faaliyetleri sonucunda herhangi bir madde veya enerjinin suya yayılması kirlilik olarak kabul edilmektedir;

• Kirletici maddelerin listesi hükümet kararıyla belirlenmektedir.

Kirliliğe Ilişkin Kanundaki Resmi Tanım:

• İnsan faaliyetleri sonucunda katı veya sıvı maddelerin ya da herhangi bir biçimdeki enerjinin (ısı, gürültü, radyoaktivite vb.) doğrudan veya dolaylı şekilde atmosfer havasına, suya veya toprağa yayılması;

• Bunun insan sağlığına, su ekosistemlerine veya kara ekosistemlerine zarar verme ihtimalinin bulunması;

• Mülke zarar verilmesine ya da çevrenin kullanımının engellenmesine veya olumsuz etkilenmesine yol açması.

• Tanım, yalnızca kimyasal maddeleri değil; aynı zamanda ısı, gürültü ve radyoaktiviteyi de kapsamaktadır.

Kirletici Madde:

• Kirliliğe neden olan her türlü maddeyi ifade etmektedir;

• Kirletici maddelerin somut listesi, yüzey sularının kalite standartlarına ilişkin hükümet kararıyla belirlenecektir;

• Hukuki açıdan, listede yer almayan bir madde de genel tanım kapsamında "kirletici madde" olarak değerlendirilebilir.

Önemle belirtilmelidir ki:

• "Su Hakkında" Kanun, 1 Eylül 2026 tarihi itibarıyla yürürlükten kalkacaktır;

• "Su Kaynaklarının Yönetimi Hakkında" Kanunun bazı hükümleri tam olarak 1 Eylül 2026 tarihinde yürürlüğe girecektir;

• Çevresel etki değerlendirmesine tabi faaliyetler bakımından doğal kaynak kullanım bedeli ödeme yükümlülüğü, 1 Eylül 2027 tarihinden itibaren uygulanacaktır.

ARKAS GEORGIA LLC · TURKISH AIRLINES · EFES GEORGIA · K 777 · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · Wasteless

3. Su Kullanımına İlişkin Düzenlemeler

Kanun aşağıdaki ayrımı yapmaktadır:

• Genel su kullanımı;

• Özel su kullanımı.

Genel su kullanımı ücretsiz olup ticari olmayan amaçlara yöneliktir.

Özel su kullanımı aşağıdaki faaliyetleri kapsamaktadır:

• Yüzeysel su kaynağından günlük 15 m³'ten fazla su çekilmesi;

• Kirletici madde içeren atık suların herhangi bir miktarda deşarj edilmesi.

Özel su kullanımına ilişkin aşağıdaki izin türleri bulunmaktadır:

• Su çekme izni;

• Atık su deşarj izni;

• Birleşik izin (yukarıdaki iki izin türünü kapsayan izin).

4. Çevresel Etki Değerlendirmesi (EIA)

Çevresel Değerlendirme Kanunu uyarınca, çevresel etki değerlendirmesine tabi bir faaliyeti gerçekleştiren kişi, özel su kullanım hakkını çevresel karar temelinde elde etmektedir.

Kaynak – Resmi Gazete- Matsne:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981

Daha sonra su çekme veya atık su deşarj koşullarında değişiklik meydana gelmesi halinde, özel su kullanımına ilişkin ek izin alınması gerekebilir.

5. Su Kaynaklarının Korunmasına İlişkin Temel Gereklilikler

Aşağıdaki faaliyetler yasaktır:

• Yüzeysel su kaynağına ilişkin deşarj izninde belirlenen şartlara aykırı şekilde atık su deşarj edilmesi;

• Yeraltı sularına kirletici maddelerin doğrudan deşarj edilmesi;

• Atıkların su kaynaklarına veya onları koruma bölgelerine bırakılması;

• Su seviyesinde kritik azalmaya yol açacak ölçüde su çekilmesi;

• Suyun petrol, kimyasal maddeler, gübreler ve diğer kirleticilerle kirletilmesi.

Kanun özellikle aşağıdaki hususlara önem vermektedir:

• Kentsel ve endüstriyel atık suların arıtılması;

• Su kalitesinin izlenmesi;

• Ekosistemlerin korunması;

• Ötrofikasyonun önlenmesi (Ötrofikasyon: Su kaynaklarının azot ve fosfor gibi biyojen unsurlarca aşırı zenginleşmesi sonucu çözünmüş oksijen miktarının azalması ve bunun su altı yaşamı üzerinde olumsuz etkilere yol açmasıdır.).

6. Su Kaynaklarının Korunması ve Kullanılması Alanındaki Yetkili Kurumlar

"Su Kaynaklarının Yönetimi Hakkında" Gürcistan Kanunu uyarınca, su kaynaklarının korunması ve kullanılması alanındaki yetkili kurumlar şunlardır:

• Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı;

• Gürcistan'ın İşgal Altındaki Bölgelerden Yerinden Edilmiş Kişiler, Çalışma, Sağlık ve Sosyal Koruma Bakanlığı;

• Gürcistan Altyapı Bakanlığı;

• Gürcistan Adalet Bakanlığı;

• Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı;

• Gürcistan Enerji ve Su Temini Düzenleme Ulusal Komisyonu (GNERC);

• Belediyeler;

• Özerk cumhuriyetlerin yönetim organları.

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

Temel Yetkilerin Kısa Özeti

Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı

Temel düzenleyici kurum niteliğinde olup aşağıdaki görevleri yürütmektedir:

• Su kaynakları yönetimine ilişkin devlet politikasını hazırlamak ve uygulamak;

• Özel su kullanım izinlerini vermek;

• Su kaynaklarının izlenmesi ve devlet denetimini yürütmek;

• Nehir havzası yönetim planlarını hazırlamak;

• Su kalitesi standartları ile ilgili bilgi sistemini oluşturmak ve yürütmek;

• Taşkınlar, ötrofikasyon ve nitrat kaynaklı kirlilikle mücadele etmek.

Gürcistan' ın İşgal Altındaki Bölgelerden Yerinden Edilmiş Kişiler, Çalışma, Sağlık ve Sosyal Koruma Bakanlığı

Aşağıdaki konulardan sorumludur:

• İçme suyuna ilişkin kalite standartlarının hazırlanması;

• İçme suyu sanitasyon koruma bölgelerine ilişkin konular;

• Sağlık risklerine ilişkin tavsiyelerin hazırlanması.

Gürcistan Altyapı Bakanlığı

Aşağıdaki faaliyetleri yürütmektedir:

• Su temini ve kanalizasyon sistemlerinin geliştirilmesini ve uygulanmasını desteklemek.

Gürcistan Adalet Bakanlığı

Aşağıdaki işlemleri yürütmektedir:

• Gürcistan Devlet Su Fonu arazilerinin kamu siciline kaydedilmesi.

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı

Aşağıdaki alanlarda politika geliştirme sürecine katılmaktadır:

• Ekonomi, enerji ve sürdürülebilir kalkınma bakımından su kaynakları yönetim politikalarının hazırlanması.

Gürcistan Enerji ve Su Temini Düzenleme Ulusal Komisyonu (GNERC)

Aşağıdaki alanları düzenlemektedir:

• Su temini ve kanalizasyon sektörü;

• İlgili tarifeler ve hizmet koşulları.

Belediyeler

Belediyelerin yetki alanına aşağıdaki hususlar girmektedir:

• Yerel öneme sahip su kaynaklarının yönetimi;

• Su temini ve teknik su sağlanmasına ilişkin faaliyetler;

• İçme suyu sanitasyon koruma bölgelerine ilişkin konular.

Özerk Cumhuriyetlerin Yönetim Organları

Aşağıdaki faaliyetlere katkı sağlamaktadır:

• Gürcistan mevzuatında belirlenen usuller çerçevesinde, kendi bölgelerindeki su kaynaklarının yönetimi.

7. Teknik Düzenlemeler

Gürcistan Hükümeti'nin 425 sayılı Kararı - Yüzeysel suların kirlenmeye karşı korunmasına ilişkin teknik düzenlemeyi içermektedir.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2187528

Gürcistan Hükümeti'nin 431 sayılı Kararı - Kanalizasyon (atıksu) sistemine atık su deşarjı ve kabul koşulları ile kirletici maddelere ilişkin azami izin verilebilir normları düzenlemektedir.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4306275?publication=0

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

Söz konusu düzenlemeler aşağıdaki hususları belirlemektedir:

• Atık sulara ilişkin kalite standartları;

• Azami izin verilebilir deşarj normları;

• Arıtma tesislerine ilişkin teknik gereklilikler.

Gürcistan Hükümeti'nin 414 sayılı Kararı:

Atık sularla birlikte yüzeysel su kaynaklarına deşarj edilen kirletici maddelerin azami izin verilebilir deşarj normlarının hesaplanmasına ilişkin teknik düzenlemeyi içermektedir.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2188404?publication=2

Gürcistan Deniz Alanının Kirlenmesine İlişkin Hukuki Düzenleme

Genel Bakış:

"Gürcistan Deniz Alanı Hakkında" Gürcistan Kanunu'nun IX. Bölümü, deniz çevresinin korunmasını düzenlemekte olup; Gürcistan deniz alanının ve buna ilişkin atmosferin, insan sağlığına, Karadeniz ekosistemine ve doğal kaynaklara tehdit oluşturan toksik, radyoaktif ve diğer zararlı maddeler, atıklar ve deşarjlarla kirletilmesini yasaklamaktadır.

Kanuna göre:

• Gürcistan'ın deniz kıyıları ve nehir kıyıları aracılığıyla denizin ve kıyı şeridinin kirletilmesi yasaktır;

• Devlet organları, kirliliğin önlenmesini ve ortadan kaldırılmasını sağlamakla yükümlüdür;

• Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı, diğer ilgili kurumlarla birlikte "Karadeniz'in Korunmasına İlişkin Ulusal Deniz Stratejisi"ni ve buna ilişkin eylem programını hazırlamaktadır.

Petrol terminalinin sahibi veya işletmecisi:

• Petrol sızıntılarına karşı acil müdahale ekipmanına sahip olmak;

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

• Acil petrol sızıntılarının giderilmesini sağlamak;

• Yetkili devlet organlarıyla iş birliği yapmakla yükümlüdür.

Gemi sahibi, deniz çevresinin kirletilmesinden dolayı Gürcistan mevzuatı uyarınca sorumluluğa tabi tutulmaktadır.

Kanun ayrıca aşağıdaki hususları da düzenlemektedir:

• Denize toprak veya dolgu malzemesi dökülmesi ile dip tortularının çıkarılması, yalnızca Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı ile Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı'nın onayıyla mümkündür. Dip tortularının denizden çıkarılması ise Gürcistan Çevre Koruma ve Tarım Bakanlığı'nın onayıyla gerçekleştirilebilmektedir;

• Gürcistan Deniz Taşımacılığı Ajansı, teknik durumu deniz kirliliği riski oluşturan gemilerin denize açılmasını yasaklama yetkisine sahiptir;

• Gürcistan makamları, Gürcistan'ın münhasır ekonomik bölgesini kirleten yabancı gemileri denetleme, inceleme ve belirli durumlarda alıkoyma yetkisine sahiptir.

Kanun ayrıca özel koruma statüsüne sahip deniz bölgelerini de belirlemektedir. Bunlar arasında:

• Deniz koruma alanları;

• Birinci ve ikinci derece deniz sanitasyon bölgeleri yer almakta olup, bu alanlarda petrol içeren suların, atıkların ve diğer kirletici maddelerin denize deşarjı ciddi şekilde sınırlandırılmaktadır.

Kaynak – Resmi Gazete- Matsne

https://matsne.gov.ge/document/view/18244?publication=25

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

წყლებისა და ზღვის დაბინძურების სამართლებრივი რეგულირება

1. ძირითადი საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ წარმოადგენს ძირითად გარემოსდაცვით აქტს, რომელიც ადგენს გარემოს დაცვის პრინციპებს, გარემოსდაცვით პასუხისმგებლობასა და გარემოზე ზემოქმედების პრევენციის მექანიზმებს.

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340

2. „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონი და „წყლის რესურსების მართვის“ შესახებ კანონი

საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ მრავალი წლის განმავლობაში წარმოადგენდა წყლის რესურსების მარეგულირებელ ძირითად სამართლებრივ აქტს. თუმცა, აღნიშნული კანონი ძალას კარგავს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448

2026 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შედის 2023 წელს მიღებული **"წყლის რესურსების მართვის შესახებ"** კანონი, რომელიც წყლის მართვის ევროპული ნორმების დანერგვას ითვალისწინებს.

ერთ-ერთი მთავარი სიახლე, რომელიც კანონს შემოაქვს, წყლის რესურსების სააუზო მართვის მექანიზმია, როდესაც მართვა ხორციელდება მდინარეთა წყალშემკრები აუზების დონეზე წყლით სარგებლობის დაბალანსებისთვის.[2]

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5846594?publication=3

კანონის მიზანია:

- წყლის ეკოსისტემების დაცვა;
- წყლის ხარისხის გაუარესების პრევენცია;
- წყლის რესურსების მდგრადი გამოყენება;
- კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შემცირება;
- დაბინძურების ეტაპობრივი შემცირება.

კანონი ადგენს, რომ:

- წყლის რესურსები სახელმწიფო საკუთრებაა;

[2] https://bm.ge/news/tsylis-kanoni-momavali-tslidan-amoqmeddeba-ra-valdebulebebi-uchndeba-bizness

- დაბინძურებად მიიჩნევა ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ნებისმიერი ნივთიერების ან ენერგიის გავრცელება წყალში;
- დამაბინძურებელი ნივთიერებების ჩამონათვალი განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით.

დაბინძურებასთან დაკავშირებით (კანონის ოფიციალური განმარტება):

- ადამიანის საქმიანობის შედეგად მყარი ან თხევადი ნივთიერებების ან ნებისმიერი ფორმის ენერგიის (სითბო, ხმაური, რადიოაქტიურობა) პირდაპირი ან არაპირდაპირი გავრცელება ატმოსფერულ ჰაერში, წყალსა და ნიადაგში.
- რაც შესაძლოა საზიანო იყოს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, წყლის ეკოსისტემებისთვის ან მიწის ეკოსისტემებისთვის.
- რაც იწვევს საკუთრებისთვის ზიანის მიყენებას, ან აზიანებს/ხელს უშლის გარემოს გამოყენებას.
- განმარტება მოიცავს არა მხოლოდ ქიმიკატებს, არამედ სითბოს, ხმაურს და რადიოაქტიურობასაც.

დამაბინძურებელი ნივთიერება:

- დაბინძურების გამომწვევი ნებისმიერი ნივთიერება.
- კონკრეტული ჩამონათვალი განისაზღვრება ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტების შესახებ მთავრობის დადგენილებით.
- სამართლებრივი მნიშვნელობა: ჩამონათვალს მიღმა ნივთიერებაც შეიძლება იყოს "დამაბინძურებელი" ზოგადი განმარტების მიხედვით.

მნიშვნელოვანია, რომ:

- „წყლის შესახებ“ კანონი ძალას კარგავს 2026 წლის 1 სექტემბრიდან;
- „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის რიგი დებულებები სრულად ამოქმედდება 2026 წლის 1 სექტემბრიდან;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობებისთვის ამოქმედდება 2027 წლის 1 სექტემბრიდან.

3. წყალსარგებლობის რეჟიმი

კანონი გამოყოფს:

- საერთო წყალსარგებლობას;
- სპეციალურ წყალსარგებლობას.

საერთო წყალსარგებლობა უფასოა და ემსახურება არაკომერციულ მიზნებს.

სპეციალური წყალსარგებლობა მოიცავს:

- ზედაპირული წყლის ობიექტიდან დღე-ღამეში 15 m^3-ზე მეტი წყლის აღებას;
- დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველი ჩამდინარე წყლების ნებისმიერი ოდენობით ჩაშვებას.

არსებობს სპეციალური წყალსარგებლობის შემდეგი ნებართვები:

- წყალაღების ნებართვა;
- წყალჩაშვების ნებართვა;
- კომბინირებული ნებართვა [მოიოცავს ზედა ორ ნებართვას].

4. გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA)

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობის განმახორციელებელი პირი სპეციალური წყალსარგებლობის უფლებას იღებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3691981

თუ შემდგომ იცვლება წყალაღების ან წყალჩაშვების პირობები, შესაძლოა საჭირო გახდეს სპეციალური წყალსარგებლობის დამატებითი ნებართვა.

5. წყლის რესურსების დაცვის ძირითადი მოთხოვნები:

აკრძალულია:

- ნებართვის პირობების დარღვევით ჩამდინარე წყლების ჩაშვება, თუ არ არის დაცული ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვების ნებართვით დადგენილი პირობები. მიწისქვეშა წყალში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნებისმიერი პირდაპირი ჩაშვება;
- მიწისქვეშა წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების პირდაპირ ჩაშვება;
- ნარჩენების განთავსება წყლის ობიექტებში ან მათ დაცვის ზონებში;
- წყლის ისეთი მოცულობით ამოღება, რომელიც იწვევს წყლის დონის კრიტიკულ შემცირებას;
- წყლის დაბინძურება ნავთობით, ქიმიური ნივთიერებებით, სასუქებით და სხვა დამაბინძურებლებით.

კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს:

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

- ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების გაწმენდას;
- წყლის ხარისხის მონიტორინგს;
- ეკოსისტემების დაცვას;
- ევტროფიკაციის [წყლის ობიექტის გამდიდრება ბიოგენური ელემენტებით (აზოტი, ფოსფორი), რაც, თავის მხრივ, იწვევს წყალში გახსნილი ჟანგბადის შემცირებას და, შესაბამისად, უარყოფით გავლენას ახდენს წყალქვეშა სიცოცხლეზე;] პრევენციას.

6. წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში კომპეტენტური ორგანოები

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში კომპეტენტურ ორგანოებს წარმოადგენენ:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (GNERC);
- მუნიციპალიტეტები;
- ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები.

ძირითადი ფუნქციების მოკლე მიმოხილვა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

წარმოადგენს ძირითად მარეგულირებელ ორგანოს და ახორციელებს:

- წყლის რესურსების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას;
- სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვების გაცემას;
- წყლის რესურსების მონიტორინგსა და სახელმწიფო კონტროლს;
- მდინარის აუზების მართვის გეგმების შემუშავებას;

- წყლის ხარისხის სტანდარტებისა და საინფორმაციო სისტემის ორგანიზებას;
- წყალდიდობის, ევტროფიკაციისა და ნიტრატებით დაბინძურების მართვას.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პასუხისმგებელია:

- სასმელი წყლის ხარისხობრივი ნორმების შემუშავებაზე;
- სასმელი წყლის სანიტარიული დაცვის ზონების განსაზღვრასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- ჯანმრთელობის რისკებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე.

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო

უზრუნველყოფს:

- წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების განვითარებისა და დანერგვის ხელშეწყობას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ახორციელებს:

- საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდის მიწების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მონაწილეობს:

- წყლის რესურსების მართვის პოლიტიკის შემუშავებაში ეკონომიკის, ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (GNERC)

არეგულირებს:

- წყალმომარაგებისა და წყალარინების სექტორს;
- შესაბამის ტარიფებსა და მომსახურების პირობებს.

მუნიციპალიტეტები

მუნიციპალიტეტების კომპეტენციას განეკუთვნება:

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

- ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა;
- წყალმომარაგებისა და ტექნიკური წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებები;
- სასმელი წყლის სანიტარიული დაცვის ზონებთან დაკავშირებული საკითხები.

ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები

მონაწილეობენ:

- ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული წყლის რესურსების მართვაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. **ტექნიკური რეგლამენტები**

საქართველოს მთავრობის დადგენილება №425 - ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის ტექნიკური რეგლამენტი:

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2187528

საქართველოს მთავრობის დადგენილება №431 - წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4306275?publication=0

აღნიშნული რეგულაციები განსაზღვრავს:

• ჩამდინარე წყლების ხარისხობრივ სტანდარტებს;

• ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმებს;

• გამწმენდი ნაგებობების ტექნიკურ მოთხოვნებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №414 - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2188404?publication=2

საქართველოს საზღვაო სივრცის დაბინძურების სამართლებრივი რეგულირება
მოკლე მიმოხილვა

„საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“ საქართველოს კანონის IX თავი არეგულირებს ზღვის გარემოს დაცვას და კრძალავს საქართველოს საზღვაო სივრცისა და მისი ატმოსფეროს დაბინძურებას ტოქსიკური, რადიაქტიური და სხვა მავნე ნივთიერებებით, ნარჩენებითა და ჩაშვებებით, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას, შავი ზღვის ეკოსისტემასა და ბუნებრივ რესურსებს.

კანონის მიხედვით:

- აკრძალულია საქართველოს ზღვის სანაპიროდან და მდინარეების ნაპირებიდან ზღვისა და სანაპიროს დაბინძურება;
- სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ დაბინძურების პრევენცია და ლიკვიდაცია;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვა უწყებებთან ერთად ამუშავებს „შავი ზღვის დაცვის ეროვნულ საზღვაო სტრატეგიას“ და შესაბამის სამოქმედო პროგრამას.

ნავთობტერმინალის მესაკუთრე ან მმართველი ვალდებულია:

- ჰქონდეს ნავთობის ავარიული დაღვრის საწინააღმდეგო აღჭურვილობა;
- უზრუნველყოს ავარიული დაღვრის ლიკვიდაცია;
- ითანამშრომლოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან.

გემის მფლობელს ეკისრება პასუხისმგებლობა ზღვის გარემოს დაბინძურებისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კანონი ასევე ითვალისწინებს, რომ:

- ზღვაში მიწის მასის ჩაყრა და ფსკერული დანალექის ამოღება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობით, ხოლო ფსკერული დანალექის ზღვიდან ამოღება შეიძლება განხორციელდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანხმობით;
- სააგენტოს [საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო] უფლება აქვს აკრძალოს ისეთი გემის ზღვაში გასვლა, რომლის ტექნიკური მდგომარეობა ქმნის ზღვის დაბინძურების საფრთხეს;
- საქართველოს ორგანოებს უფლება აქვთ გააკონტროლონ, დააინსპექტირონ და გარკვეულ შემთხვევებში დააკავონ უცხოური გემი, თუ მან დააბინძურა საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა.

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless

კანონი ადგენს სპეციალურ დაცულ საზღვაო ზონებსაც, მათ შორის:

- ზღვის ნაკრძალ რაიონს;
- პირველ და მეორე საზღვაო სანიტარიულ რაიონებს, სადაც მკაცრად იზღუდება ნავთობშემცველი წყლების, ნარჩენებისა და სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვაში ჩაშვება.

წყარო: https://matsne.gov.ge/document/view/18244?publication=25

15 Temmuz Demokrasi ve Millî Birlik Günü Anma Programı

საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოში 15 ივლისის დემოკრატიისა და ეროვნული ერთიანობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

15 Temmuz Demokrasi ve Millî Birlik Günü dolayısıyla, Türkiye Cumhuriyeti'nin Gürcistan Büyükelçisi Sayın Mustafa Türker Arı'nın ev sahipliğinde Tiflis'teki Türkiye Cumhuriyeti Büyükelçiliği'nde anma programı düzenlendi.

Programa GÜRTİAD (Gürcistan Türk İş İnsanları Derneği) Yönetim Kurulu da katılım sağladı.

Program kapsamında 15 Temmuz şehitleri rahmet ve minnetle anılırken, millî birlik ve beraberliğin önemi bir kez daha vurgulandı.

15 ივლისს, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოში, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, მუსტაფა თურქერ არიმ დემოკრატიისა და ეროვნული ერთიანობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა.

ღონისძიებას GÜRTİAD-ის მმართველი საბჭოს წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

ღონისძიების ფარგლებში, დამსწრეებმა, პატივი მიაგეს 2016 წლის 15 ივლისის მოვლენებისას დაღუპულთა ხსოვნას. ამასთან, კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ეროვნული ერთიანობისა და სოლიდარობის მნიშვნელობას.

ARKAS GEORGIA LLC TURKISH AIRLINES EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Wasteless